

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 18 ოქტომბერი
დადგენილება № 339

წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2010 წლის 29 ოქტომბრიდან დაიწყოს წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტების და ბიბლიოთეკის წარმომადგენლების არჩევნების პროცესი ქვემოთ მითითებული ვაკანსიების მიხედვით:
 - სამშენებლო ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 3 ვაკანსია, მათ შორის 2 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი – 4 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი – 2 ვაკანსია, მათ შორის 1 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 1 – სტუდენტებიდან;
 - ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი – 6 ვაკანსია, მათ შორის 3 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 3 – სტუდენტებიდან;
 - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 8 ვაკანსია, მათ შორის 5 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან და 3 – სტუდენტებიდან;
 - ბიბლიოთეკა – 1 ვაკანსია.
 - სულ 36 ვაკანსია, მათ შორის 23 ვაკანსია აკადემიური პერსონალიდან, 1 – ბიბლიოთეკიდან და 12 – სტუდენტებიდან;
2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ შესაბამისი ფაკულტეტების სტუდენტებს, სრულ, ასოცირებულ ან/და ასისტენტ პროფესორებს, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს; კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრებს.

3. ფაკულტეტის წარმომადგენლობის კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ საფაკულტეტო საარჩევნო კომისიაში, ხოლო ბიბლიოთეკის წარმომადგენლობის კანდიდატებმა – აკადემიური საბჭოში; განცხადებას თან უნდა დაერთოს პირადობის მოწმობის ასლი და ცნობა სტუ-ში დაკავებული თანამდებობის/უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.
4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს მიმდინარე წლის 8 ნოემბერს და დასრულდეს 17 ნოემბერს. არჩევნები გაიმართოს რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღეს – 24 ნოემბერს; ფაკულტეტის წარმომადგენლების არჩევნები ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე, ხოლო ბიბლიოთეკის წარმომადგენლისა – აკადემიური საბჭოში.
5. არჩევნები ჩატარდეს “მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ” დებულების შესაბამისად.
6. დადგენილება გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად (წარადგენს პროფ. ზურაბ ლომსაძე).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე